პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 88 (1102) | სამშაბათი, 23 ივლისი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

ИГРЫ МОЛОДЕЖИ
МОСКВА
1957

მოგაგონებთ, რომ...

...ახალგაზრდობის პირველ საერთაშორისო მეგობრულ სპორტულ თამაშებში, რომელიც შედგა 1953 წლის ზაფხულზე რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, მონაწილეობდა 3.558 სპორტსმენი 35 ქვეყნიდან. ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სპორტის 18 სახეობაში, ხოლო ქალები — 10-ში.

...შეჯიბრებათა მსვლელობაში დამყარებულ იქნა მსოფლიოს 5, ევროპის 5 და 83 ეროვნული რეკორდი.

ორი მსოფლიო რეკორდი დამყარებულ იქნა საბჭოთა სპორტსმენებას მიერ მძლეოსანთა შეჯიბრების დასკვნით დღეს: ამანათრბენში 4×200-ზე კალაშნიკოვამ, საფრონოვამ, კაზანცევამ და დვალიშვილმა აჩვენეს შედეგი 1.36,4; ალექსანდრა ჩუდინამ მძლეოსნურ ხუთჭიდში მოაგროვა 4.888 ქულა.

• • •

...II მეგობრულ სპორტულ თამაშებში, რომელიც 1955 წლის აგვისტოში პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ჩატარდა, მონაწილეობდა 4.000 სპორტსმენი 40 ქვეყნიდან. ვაჟები ერთმანეთს ეცილებოდნენ სპორტის 23 სახეობაში, ხოლო ქალები — 15-ში.

შეჯიბრების მსვლელობაში გაუმჯობესებულ იქნა ასზე მეტი ეროვნული რეკორდი. 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მაღალი შედეგი აჩვენა 24 სპორტსმენმა.

...შესანიშნავი შედეგი, რომელიც მსოფლიო რეკორდს აღემატებოდა, აჩვენა ავსტრალიელმა სპორტსმენმა ქალმა შირლეი დელა ჰანტი-სტრიკლენდმა. მან 100 მ. გაირბინა 11,3 წამში.

...გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენმა ქალმა ურსულა დონატმა 400 მ რბენაში დაამყარა მსოფლიო რეკორდი — 54,4 წამი.

...საბჭოთა მძლეოსანმა მიხეილ კრივონოსოვმა ურო ტყორცნა 64 მ 33 სმ, რაც მაშინ მსოფლიო რეკორდზე 28 სმ მეტი იყო.

... მაღალი მაჩვენებლებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები გალინა ვინოგრადოვა და ლეონიდ შჩერბაკოვა. მათ დაამყარეს ევროპის ახალი რეკორდები. ვინოგრადოვა გადახტა სიგრძეზე 6 მ 27 სმ, შჩერბაკოვამ სამხტომში აჩვენა 16 მ 35 სმ.

სახელოვანი 50 წელი

მიმდინარე წლის აგვისტოში სოციალისტური სამშობლო, მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავენ ჩვენს ქვეყანაში პროფესიული კავშირების არსებობის 50 წლისთავს, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, როცა რუსეთში უკვე არსებობდა გენიალური ლენინის მიერ შექმნილი რევოლუციურ-მარქსისტული პარტია, როცა დიდი რუსეთის მშრომელებმა შეიგნეს თავიანთი საერთო კლასობრივი ინტერესები და გაერთიანების საჭიროება. რუსეთის პროფესიული კავშირები, რომელსაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობდა, აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის პირველ რევოლუციაში, რეაქციის წლებში და ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში. ისინი პარტიის დასაყრდენს წარმოადგენდნენ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის მე-40 წლისთავს წელს დიდი ზეიმით აღნიშნავენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები, დასაბამი მისცა ახალ ერას — კომუნიზმის ერას. მუშათა კლასის გამარჯვების შემდეგ ძირეულად შეიცვალა პროფკავშირების მდგომარეობა და ამოცანები. პროფკავშირის როლი საბჭოთა სახელმწიფოში როგორც კომუნიზმის სკოლისა, განსაზღვრული და მეცნიერულად დასაბუთებულია დიდი ლენინის მიერ.

სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე პროფკავშირები ახორციელებდნენ კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ჩვენი თვალუწვდენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების გამტკიცებისაკენ, ქვეყნის ეკონომიკის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურას დონის განუხრელი აღმავლობისაკენ. პროფკავშირები საბჭოთა სახელმწიფოს მუშათა კლასის ყველაზე მასობრივი ორგანიზაციაა, რომლებიც თავიანთ რიგებში 47 მილიონზე მეტ მუშასა და მოსამსახურეს აერთიანებს, ეწევიან მასობრივ ორგანიზაციულ და აღმზრდელობითს მუშაობას, რაზმავენ მშრომელებს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის. ისინი მუშათა კლასის მასებს აერთიანებენ მის ავანგარდთან — კომუნისტურ პარტიასთან, იზიდავენ მშრომელებს სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

პროფესიული კავშირები დიდ მუშაობას ეწევიან ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობის საქმეში. პროფკავშირების სხვადასხვა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებაში გაერთიანებულია 6 მილიონამდე ფიზკულტურელი. ჩვენი ქვეყნის სპორტის სახეობათა გუნდებში წამყვანი ადგილი უკავიათ პროფკავშირების უძლიერეს სპორტსმენებს, რომელთა მაღალი სპორტული ოსტატობა საყოველთაოდ ცნობილია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთაც.

ამას წინათ გამოქვეყნებულ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თეზისებში ნათქვამია:

...„პროფკავშირებმა ძირეულად უნდა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა ფიზკულტურული მოძრაობისადმი, სპორტისა და ტურიზმისადმი, რომლებიც საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის, ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების, შრომისა და თავდაცვისათვის მათი მომზადების დიდმნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენენ, უზრუნველყონ მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის შემდგომი განვითარება, ფიზკულტურელთა სპორტული ოსტატობის ამაღლება“.

ჩვენს რესპუბლიკაში მასობრივფიზკულტურული მუშაობის აღმავლობის საქმეში თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს, რომელთა რიგებში არიან მსოფლიო და სსრ კავშირის ჩემპიონები და რეკორდსმენები, ნიჭიერი სპორტსმენები, რომლებიც საკავშირო და საერთაშორისო მასშტაბის სპორტულ შეჯიბრებებში მოპოვებული წარმატებებით ხელს უწყობენ ქართული სპორტის წინსვლის საქმეს.

ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე დასახულ ახალ, გაზრდილ ამოცანებთან დაკავშირებით, ძირფესვიანად უნდა გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა რესპუბლიკის ნებაყოფლობითმა საზოგადოებებმა, რომლებიც მოწოდებული არიან ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მუშებისა და მოსამსახურეების ფიზიკურად გაკაჟების საქმეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ იმას, რომ ყოველ საწარმოში, დაწესებულებაში არსებობდეს და ნაყოფიერად მუშაობდეს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი, რომელშიც გაერთიანებული ახალგაზრდები მუშაობისაგან თავისუფალ საათებში დაეუფლებიან სპორტის სხვადასხვა სახეობას, ჩააბარებენ მშთ ნიშანზე, მოიპოვებენ თანრიგს.

მეტი მუშაობის ჩატარებაა საჭირო სპორტული ბაზების მშენებლობის საქმეში. საჭიროა ყოველ ქარხანას, ფაბრიკას ჰქონდეს სპორტული მოედნები, სადაც შესაძლებელია აგრეთვე საცურაო აუზიც.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა მუშაობა საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის საქმეში, რომელმაც ძალზე კარგი შედეგები გამოიღო, მშრომელთა ფართო მასების მოწონება დაიმსახურა. ჩვენ ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი ამ მნიშვნელოვანი ფიზკულტურული ღონისძიების ფართოდ გავრცელებას, ამისათვის წარმოებები, დაწესებულებები უზრუნველვყოთ მაღალკვალიფიციური მეთოდისტებით.

ფიზკულტურასა და სპორტში ახალი წარმატებების მოპოვებით შევხვდეთ პროფესიული კავშირების 50 წლისთავს პროფკავშირების ფიზკულტურელები და სპორტსმენები!



ფინეთისა და ლენინგრადის მძლეოსანთა ამხანაგური შეჯიბრების დროს, ლენინგრადელმა იური სტეპანოვმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში — 2 მეტრი და 16 სანტიმეტრი. ეს 1,1 სანტიმეტრით აღემატება მსოფლიო რეკორდს, რომელიც ეკუთვნოდა ჩ. დიუმასს (აშშ).

• • •

სურათზე: ი. სტეპანოვი იღებს 2 მეტრ და 16 სანტიმეტრ სიმაღლეს.

ფოტო ნ. ნაუმენკოვისა და ვ. ფედოსეევისა.
(საქდესი).

ქალთა ნახევარფინალი

◆

პიარნუ

საქართველოს ჩემპიონმა კაკაბაძემ კარგად დაიწყო ფინიში. XI ტურში იგი შეხვდა კეველ კოგანს. სიცილიურ დაცვაში მან შეწირა პაიკი და ძლიერი იერიში განავითარა. მხედრის შეწირვით კაკაბაძემ აიძულა კოგანი დაეთმო ლაზიერი. მე-17 სვლაზე კეველი მოჭადრაკე დანებდა. ამ დღეს კაკაბაძეს კონკურენტებმა როოტარემ ესტერკინასთან და კაცკოვამ სოპროვსკაიასთან პარტიები ყაიმით დაამთავრეს და ლიდერობა თბილისელს დაუთმეს.

20 ივლისს ტურნირის მონაწილეებმა უკრაინის ყოფილი ჩემპიონის კრიუკოვას დაბადების დღე აღნიშნეს. თამაშები ნახევარფინალზე დღისით მიმდინარეობს, მიტომ როდესაც ილიაზოვამ კრიუკოვას დაუსვა კუ (რუსულად სპალო), სადამოს მონაწილეებმა კრიუკოვას საჩუქრად შვიდი სპილო მიართვეს.

— მერვე სპილო დღეს თქვენ ილიაზოვამ მოგართვათ — უთხრეს იუბილარს.

გადადებული პარტიების დამთავრებისას გურფინკელმა მოუგო როზოვას, სოპროვსკაიამ — კრიუკოვას, სემიონოვამ და კაუშლაიტემ — კარტანაიტეს.

ამრიგად, XI ტურის შემდეგ ე. კაკაბაძეს 8 ქულა აქვს, ს. როოტარესა და ო. კაცკოვას — 7,5 ქულა თითოეულს.

ქ. გოგიავა,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ახალი რეკორდები

ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ირკუტსკში გამართულ ველოსიპედისტთა შეჯიბრებებზე ახალგაზრდა ველოსიპედისტმა ზინაიდა ტიუტეცევამ. 100 კილომეტრი მან დაფარა 2 საათსა 46 წუთსა და 27,5 წამში. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია.

ჰელსინკის ოლიმპიურ საცურაო აუზში მიმდინარეობდა ესტონეთისა და ფინეთის მოცურავეთა ამხანაგური შეჯიბრება.

ესტონელმა მოცურავე ქალმა ულვე ვოოგმა 100 მეტრი თავისუფალი სტილით გაცურა 1 წუთსა და 06,1 წამში. ვოოგის ეს შედეგი ახალი საკავშირო რეკორდია.

ინგლისი. ჰენლის რეგატა მიმდინარე დღეებში.

სურათზე: ოთხმოსახმელიანი ნავები რბოლის დროს.

ფოტო იუნაიტედ პრეს ფოტოსი.

ტურნირი რეიკიავიკში

დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტთა IV მსოფლიო გუნდური პირველობის ლიდერების საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრამ VIII ტურში.

ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ გროსმაისტერები ტალი და ფილიპი. ძლიერად ჩაატარა პარტია გროსმაისტერმა სპასკიმ, რომელმაც დაამარცხა ოსტატი კოზმა. შესანიშნავ სტილში პოლუგაევსკიმ მოუგო ბლატნის. ერთი პარტია გადადებულია საყაიმო მდგომარეობაში.

VIII ტურის შემდეგ წინ არიან საბჭოთა სტუდენტები, რომლებსაც 26,5 ქულა აქვთ. მეორე ადგილზე ჩეხოსლოვაკიის გუნდია (21,5 ქულა).



მესამე მეგობრული სპორტული თამაშების მზადების დღეებში, მოსკოვში, მდინარე მოსკოვის სანაპიროზე აშენდა ახალი, ღია საცურაო აუზი, რომელსაც საცურაო ბილიკების გარდა აქვს სახტომი კოშკიც.

• • •

სურათზე: ღია საცურაო აუზის ხედი.

ახალი ჩემპიონები

ნორჩი მოჭადრაკეების რესპუბლიკური შეჯიბრებება აჯამებს საჭადრაკო თაობის აღზრდის საქმეში წლების მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგებს. ასეთ ტურნირებში მოპოვებული წარმატებების შემდეგ დიდ სპორტულ ასპარეზზე გამოვიდნენ გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი, ოსტატი ბ. გურგენიძე, ნ. გაფრინდაშვილი, მ. ტოგონიძე და სხვები.

ამიტომ ამას წინათ ბორჯომში დამთავრებული საქართველოს ნორჩ მოჭადრაკეთა (ჭაბუკებისა და გოგონების) ტურნირები იზიდავდა მომავალი მოჭადრაკეების გულშემატკივართა ყურადღებას. ამ ტურნირებს უნდა გამოევლინა არა მარტო ჩემპიონები, არამედ ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის წევრები, რომლებიც აგვისტოს დამდეგს მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის მოსწავლე-მოჭადრაკეთა გუნდურ ჩემპიონატში.

ბრძოლა ტურნირებში, რომლებიც ჩატარდა ბორჯომის ორჯონიკიძის სახელობის პარკის საუცხოო ვერანდაზე, დაძაბულობით აღინიშნა. ჭაბუკების შეჯიბრებაში ჩემპიონის სახელისათვის იბრძოდა 16 მოჭადრაკე თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, ხაშურიდან, ზუგდიდიდან, ჭიათურიდან და სხვა ქალაქებიდან. მრავალრიცხოვანი მაყურებელი, რომლის დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დამსვენებელი იყო, თამაშებს გატაცებით ადევნებდა თვალს.

თავიდანვე ლიდერი გახდა თბილისელი პირველთანრიგოსანი მ. თხელიძე. მაგრამ V ტურში მას ლიდერობა ჩამოართვა პირველთანრიგოსანმა თ. ჯახუტაშვილმა (ბათუმი), რომელმაც მისი შენარჩუნება მხოლოდ X ტურამდე შეძლო. მ. თხელიძემ, რომელიც ძირითად მეტოქეს კვალდაკვალ მისდევდა, დაიბრუნა ლიდერობა და ბოლომდე შეინარჩუნა იგი. მ. თხელიძემ 12 ქულით მოიპოვა ჩემპიონის სახელი. II ადგილზე აღმოჩნდა 1956 წლის ჩემპიონი თბილისელი ა. იზვოზჩიკოვი (10,5 ქულა), III ადგილზე — თ. ჯახუტაშვილი (9,5 ქულა).

არანაკლებად დაძაბული იყო გოგონების ტურნირი. აქ ჩემპიონობაზე პრეტენზია 10 მოჭადრაკეს ჰქონდა. სტარტზე დაწინაურდნენ არა გამოცდილი პირველთანრიგოსნები გ. ბუცხრიკიძე, ან თბილისის ჩემპიონი ქალებში მ. სტატნიკოვა, არამედ ნ. ჯანგველაძე. შეჯიბრების მეხუთე დღეს მას გაუსწრო მესამეთანრიგოსანმა მარინე ჩომახიძემ, რომელმაც მოუგო პარტიები გ. ბუცხრიკიძესა და მ. სტატნიკოვასაც. თითქოს ჩემპიონი უკვე გამოვლინებული იყო, როცა დამამთავრებელ ტურში მ. ჩომახიძე მოულოდნელად დამარცხდა თელაველ ხუცაშვილთან. მისმა კონკურენტმა გ. ბუცხრიკიძემ შეჯიბრების დასკვნითი პარტიის მოგებით დაისაკუთრა ჩემპიონის სახელი. გ. ბუცხრიკიძემ მოაგროვა 7,5 ქულა, მ. ჩომახიძემ — 7. III-IV ადგილები გაიყვეს მ. სტატნიკოვამ და ნ. ჯანგველაძემ (6-6 ქულა თვითეულს).

ასეთი იყო სპორტული ბრძოლა. შემოქმედების მხრივ შედეგები შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ. მრავალმა ნორჩმა მოჭადრაკემ გამოავლინა სადებიუტო თეორიის საკითხების ცოდნა. სამწუხაროდ, რაიონების მრავალი წარმომადგენელი ჯერ არ არის დაუფლებული დებიუტების პრობლემებს. ეს იმიტომ, რომ მათთან საწვრთნელი მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე. რაც შეეხება ენდშპილის თამაშს, აქ საკითხი უფრო რთულია, რადგან პარტიის ამ სტადიის შესწავლა ბევრადაა დამოკიდებული გამოცდილებაზე, რაც ბუნებრივია, ბავშვებს მცირე აქვთ. სამაგიეროდ, შუა თამაშში ბავშვები გაბედულად ახორციელებენ კომბინაციებს, მომხიბლავ მანევრებს.

რაც შეეხება ცალკეულ მოჭადრაკეებს მ. თხელიძეს, თ. ჯახუტაშვილს, გ. ბუცხრიკიძეს, მ. ჩომახიძეს. მათ მომწიფებული თამაში გამოამჟღავნეს. მეტი იყო მოსალოდნელი მ. სტატნიკოვასაგან, რომელზეც ალბათ უარყოფითად იმოქმედა II ტურში მ. ჩომახიძესთან წაგებამ. კარგ იმედს გვაძლევენ რ. ჯინჯიხაშვილი (13 წლის), ვ. გორგაძე (12 წლის) და ა. ხუცაშვილი (12 წლის).

ახლა საქართველოს ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდის წევრები ბორჯომში გადიან წვრთნას ვ. ქარსელაძის ხელმძღვანელობით. ივლისის დამლევს ისინი გაემგზავრებიან ქ. ვლადიმირში მოსწავლეთა საკავშირო გუნდურ პირველობაში მონაწილეობის მისაღებად. სადაც მათ შეუერთდება აგრეთვე ნ. გაფრინდაშვილიც.

თ. გიორგაძე

ჭაბუკთა რესპუბლიკური შეჯიბრებები

◆

ფარიკაობა

თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დამთავრდა რესპუბლიკის მოზარდთა პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში.

პირველ ჯგუფში მონაწილეობდნენ თბილისის (2), აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და ზესტაფონის გუნდები. მეორე ჯგუფში — სამხრეთ-ოსეთის, წულუკიძისა და თელავის მოფარიკავეთა კოლექტივები.

კარგად ჩაატარა ყველა შეხვედრა რაპირით ბრძოლაში ქუთაისის გოგონათა კოლექტივმა (უფროსი და საშუალო ასაკი), რომელმაც მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის, მესამეზე — აჭარის კოლექტივები.

თბილისის ჭაბუკ მოფარიკავეთა კოლექტივმა (უფროსი, საშუალო და უმცროსი ასაკი) დიდი მონდომებით ჩაატარა ყველა შეხვედრა და სამივე სახეობაში პირველობა დაისაკუთრა. რაპირით ბრძოლაში მეორე ადგილზე გამოვიდა აფხაზეთი, ესპადრონში — ქუთაისი, ხოლო დაშნაში — ზესტაფონის მოფარიკავეთა კოლექტივები.

საერთო გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდათ თბილისელებს. მეორე — ქუთაისს, მესამე — თბილისის II გუნდს.

შეჯიბრებაში ყველაზე საინტერესო იყო ჭაბუკთა პირადი პირველობა. პირველ ჯგუფში ჩემპიონები გახდნენ: რაპირაში—გ. ჩიტიშვილი (თბილისი, უმცროსი ასაკი), თ. ცქიტიშვილი (თბილისი, უფროსი ასაკი). ესპადრონში— ა. გოგელია (თბილისი, საშუალო ასაკი), ა. ქვრივიშვილი (თბილისი, უფროსი ასაკი). დაშნაში — ჯ. უკლება (თბილისი).

II ჯგუფი: რაპირა — ვ. ბეტეევი (სამხრეთ-ოსეთი, უმცროსი ასაკი), ვ. ჯაფარიძე (წულუკიძე, საშუალო ასაკი). ესპადრონი — ჯ. კაკაურიძე (წულუკიძე, საშუალო ასაკი), ვ. ჯაფარიძე (წულუკიძე, უფროსი ასაკი). დაშნა — გ. გოგითაშვილი (თელავი).

გოგონათა პირველ ჯგუფში: რაპირა — მ. სულთანიშვილი (თბილისი, საშუალო ასაკი), მ. გორდაძე (თბილისი, უფროსი ასაკი). II ჯგუფში: რაპირა — ყ. სილაგაძე (წულუკიძე, საშუალო ასაკი), ნ. ფანცულაია (წულუკიძე, უფროსი ასაკი).

კრივი

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტდარბაზში სამ დღეს მიმდინარეობდა ჭაბუკთა საქართველოს 1957 წლის პირად-გუნდური პირველობა კრივში. მონაწილეობდნენ: თბილისის I და II, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და ფოთის მოკრივეთა კოლექტივები.

საინტერესოდ წარიმართა ფინალური შეხვედრები პირად პირველობაზე.

უმჩატეს წონაში ჯ. რაზმაძემ (თბილისი I) მესამე რაუნდში მიაღწია გამარჯვებას ფ. ცერცვაძესთან (თბილისი II) შეხვედრაში და მოიპოვა ჩემპიონის საპატიო სახელი.

მჩატე წონაში ქუთაისელმა ჯ. კვანტალიანმა აშკარა უპირატესობით მოუგო ბრძოლა ფოთელ რ. ჩიქობავას. უნდა აღინიშნოს, რომ ჯ. კვანტალიანი კარგი მონაცემების მოკრივეა, იგი ერთნაირად ძლიერია დაცვასა და შეტევაში.

ქვემსუბუქ წონაში საქართველოს ორგზის ჩემპიონმა თ. ბოლქვაძემ (ბათუმი) ქულებით მოუგო თბილისელ ვ. ტამოევს.

მსუბუქ წონაში თბილისელი ქ. ჩაგულოვი გამარჯვებული გამოვიდა ქუთაისელ მ. სირაძესთან ორთაბრძოლაში. პირველ ქვესაშუალო წონაში ბათუმელი ი. გაიდამაკი სამივე რაუნდის განმავლობაში ძლიერად უტევდა თბილისელ ა. ხატოევს და გაიმარჯვა კიდეც.

მეორე ქვესაშუალო წონაში თბილისელმა ვ. გრიგორიანმა მოუგო ბათუმელ ა. ივანოვსკის.

პირველი საშუალო წონის მოკრივეთა შეხვედრაში თბილისის II გუნდის წევრმა რ. ჯახუამ ქულებით გაიმარჯვა თ. ხალიშვილზე (თბილისი I).

მეორე საშუალო წონაში მწვავე და დაძაბული ბრძოლით აღინიშნა თბილისელ რ. აკოფოვისა და ქუთაისელ ა. მელქაძის მატჩი. მესამე რაუნდში აკოფოვის აშკარა უპირატესობის გამო მას გამარჯვება მიეკუთვნა. ქვემძიმე წონაში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა თბილისელმა თ. ნებიერიძემ. მძიმე წონაში — ა. ლეტუჩმა (თბილისი).

საერთო გუნდური პირველი ადგილი თბილისის I გუნდმა დაიკავა. მეორე — თბილისის II გუნდმა, მესამე — ქუთაისმა.

ვ. ხანდამიშვილი

მალე დაიწყება მწვერვალების იერიშები

წელს კავკასიონზე, პამირზე, ალაის ქედსა და ჰისარის ქედის სამხრეთ ფერდობებზე გაიხსნა რამდენიმე ალპინისტური ბანაკი, სადაც ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით შეისწავლიან მთამსვლელობის ტექნიკას, მოაწყობენ ჩასათვლელ ლაშქრობებს.

გარდა სათანრიგო ასვლებისა მიმდინარე წელს პამირსა და კავკასიონზე მოეწყობა ასვლები საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად. სიმაღლოვან ასვლებში, რთულ ტრავერსსა და ურთულეს მწვერვალზე კედლით ასვლაში დაწესებულია 3-3 საპრიზო ადგილი.

რთული მიზანი დაისახეს საქართველოს ალპინისტური კლუბის მთამსვლელებმა, რომლებმაც ბრწყინვალე წარმატებანი მოიპოვეს ტექნიკურად რთულ და სიმაღლოვანი ასვლების დარგში. მიმდინარე წელს ჩვენი რესპუბლიკის ალპინისტებს განზრახული აქვთ სამხრეთიდან ავიდნენ ღარმოს პიკზე, რომელიც მდებარეობს ორი უმაღლესი ქედის — პამირ-დარვაზისა და მეცნიერებათა აკადემიის ქედებს შორის. აქედან დარვაზის ქედით ისინი განახორციელებენ 10-კილომეტრიან ტრავერსს შოკალსკის მყინვარამდე. ექსპედიციას, რომელსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი მთამსვლელები ო. გიგინეიშვილი და ა. ივანიშვილი, შედიან ოსტატები ბ. ხერგიანი, ჰ. ჩართოლანი, ჯ. მეძმარიაშვილი, ლ. ახვლედიანი, დ. ობოლაძე, პირველთანრიგოსნები რ. ხაზარაძე, შ. მირიანაშვილი, ი. გაბლიანი, ს. ზერაძე, გ. თიკანაძე, ზ. ახვლედიანი, თ. კუხიანაძე, გ. აბაშიძე და სხვ.

ამჟამად საქართველოს მთამსვლელები პამირში ეწევიან მოსამზადებელ სამუშაოებს, რეგულარულად ვარჯიშობენ, ეჩვევიან კლიმატს.

უზბეკეთის სპორტსმენებს სპორტის ოსტატ ელჩიბაკოვას ხელმძღვანელობით დასახული აქვს სიმაღლოვანი ასვლები ლენინისა და სტალინის პიკებზე ახალი გზით, ხოლო შემდეგ დალაშქრავენ აკადემიის პიკს.

პამირის ჩრდილო პლატოსაკენ უკვე დაიძრა „ბურევესტნიკის“ მთამსვლელთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კუზმინი. ისინი ჩრდილოეთიდან დალაშქრავენ საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალს — სტალინის პიკს.

ჩვენი რესპუბლიკის ის სპორტსმენები, რომლებიც საქართველოში დარჩნენ, უქმად როდი ისხდებიან. ლენტეხელი მთამსვლელების გ. გულბანის, ჯ. და ს. გუგავების ხელმძღვანელობით სამხრეთის კედლით მოაწყობენ საკავშირო მასშტაბის საკონკურსო ასვლას ჯანღაზე.

უ. ჭიჭინაძე

თბილისის თასზე

45 საფეხბურთო კოლექტივი იბრძოდა თვეხახევრის განმავლობაში თბილისის თასის მოსაპოვებლად. კენჭისყრის მიხედვით უძლიერესი გუნდების მეტი წილი მოხვდა ცხრილის ქვედა ნახევარში, რის გამოც ბევრმა მათგანმა უკვე მეოთხედფინალში განიცადა დამარცხება და გამოითიშა შეჯიბრებიდან. ასე, წააგეს შეხვედრები მაუდ-კამვოლის ფაბრიკის, 26 კომ. სახ. რაიონის, „ტაქსომოტორისა“ და სხვა გუნდებმა.

ნახევარფინალურ მატჩებში კიროვის სახელობის ქარხნის ფეხბურთელებმა დაამარცხეს ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდი — 2:0, ხოლო ტტს-მა მოუგო საოლქო სპორტული კლუბის პირველ გუნდს — 3:0.

ფინალურმა შეხვედრამ, რომელიც შედგა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და კიროვის სახელობის ქარხნის გუნდებს შორის, გამარჯვება მოუტანა ტრამვაელებს ანგარიშით 8:1. ამრიგად, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა მოიპოვა საქართველოს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ გათამაშებაში ადგილი ჰქონდა წესრიგის დარღვევის მთელ რიგ ფაქტებს (კერამიკული კომბინატი, ინდუსტრიული ტექნიკუმი, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა და სხვ.).

გ. ანტონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე მატჩი „გალატა-სარაისთან“

რამდენიმე თვის წინათ თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა მოიპოვა მნიშვნელოვანი გამარჯვება, რომელმაც მას „ა“ კლასის ოსტატთა ტურნირში მონაწილეობის უფლება მისცა. რა თქმა უნდა, ახალგაზრდული კოლექტივის ასეთი დიდი წარმატება შემთხვევითი არ იყო. გუნდი, რომელიც უმთავრესად პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული, საშუალო ძალის რაგითი გუნდიდან უძლიერესთა ტურნირის ღირსეული მონაწილე გახდა. რატომ მოიპოვა თბილისის „ბურევესტნიკმა“ ეს საპატიო უფლება, ძნელი მისახვედრი არ არის. როგორც ყველა ახალგაზრდულ კოლექტივს, მასაც პირველ რიგში ჰქონდა ენთუზიაზმის დაუშრეტელი წყარო, რომელიც თანაბრად ვლინდებოდა როგორც გუნდის ყოველი მონაწილის ბრძოლისუნარიანობაში, ისე დიდ მონდომებაში, ენერგიასა და ახალგაზრდულ ტემპერამენტში.

გუნდმა მოიპოვა „ა“ კლასში მონაწილეობის უფლება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყველაფერს. საჭირო იყო ამ წარმატების შენარჩუნება. რაც მთავარია, იმას დადასტურება, რომ ყველაფერი ეს შემთხვევის ამბავი არ იყო. გუნდს უნდა გამოეცადა თავისი თავი, თავისი ძალები და აი, მას სულ მალე მიეცა ამის საშუალება. გენერალური რეპეტიცია შედგა ახალგაზრდა კალათბურთელებისათვის არახელსაყრელ მდგომარეობაში, რადგან იგი ამავე დროს იყო პირველი ნაბიჯი საერთაშორისო სარბიელზე.

მაშ ასე, გასულ შაბათს თბილისის „ბურევესტნიკი“ გამოვიდა დებიუტანტის როლში სტამბოლის კლუბის „გალატა-სარაის“ გუნდთან ბრძოლაში. რით უნდა დაპირისპირებოდნენ ჩვენთვის უკვე ცნობილ სტუმრებს — საკმაოდ ძლიერ და გამოცდილ კალათბურთელებს, ახალგაზრდები, რომლებსაც ზურგს უკან საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის (რა თქმა უნდა „ბ“ კლასში) საკმაოდ ღარიბი გამოცდილება ჰქონდათ? პირველ რიგში ახალგაზრდული მონდომებით, ენერგიით.

ბევრს კი არ სწამდა ასეთი ბედნიერი ფინალი, ხოლო ზოგიერთი, უკიდურესი სკეპტიკოსი სამარცხვინო რევანშსაც მოელოდა. თურქებმა წააგეს პირველი მატჩი და ახლა ყოველნაირად შეეცდებიან სამაგიერო უზღონ მასპინძლებს. — ფიქრობდნენ ისინი და ამაში არ ცდებოდნენ. თურქებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მოგება და რევანშის საქმე მათ განაღდებულად ეჩვენებოდათ.

ვარჯიშზე თურქების მწვრთნელმა ერთი უსიამოვნო ფაქტი შენიშნა — მოწინააღმდეგეთა შორის ერთი ძალზე მაღალი კალათბურთელი. დოქტორ ალი ურასმა არ იცოდა ანზორ ლეჟავას თამაში, მაგრამ არ შეიძლებოდა მის სიმაღლეს (2 მეტრი 7 სანტიმეტრი) არ შეეკრთო იგი. მწვრთნელმა შეცვალა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება და იანი ტომაიდისის (№ 10), ნაცვლად მაღალი ტანის უნალ ბუიკანჯანზე (№ 12) აიღო გეზი, რომელსაც დანარჩენი პარტნიორების დახმარებით უნდა „ჩაეკეტა“ ანზორი. რა თქმა უნდა, თუ მას პირველ ხუთეულში დააყენებდნენ.

მწვრთნელის შეშფოთება გამართლდა პირველსავე წუთზე, როდესაც ლეჟავამ პირველი ბურთი გადასცა პარტნიორს, შემდეგ მიიღო ფარქვეშ გადაცემა და იოლად გახსნა ანგარიში. გასაკვირი არაა, რომ მასპინძლებმა თამაში ნერვიულად დაიწყეს და პირველსავე წუთზე რამდენჯერმე დაჯარიმდნენ. დემირმა (№ 14) ორჯერვე ზუსტად ესროლა კალათს და გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ აქ მოულოდნელად შემოიჭრა ტოგონიძე ფარქვეშ. ანგარიში გახდა 4:2.

ერთხანს ანგარიში თანაბარი იყო. ჩააგდებდნენ თბილისელები ჯარიმას, ან აიღებდნენ ორ ქულას, თურქები იმავ წამს პასუხობდნენ. მაგრამ ვერ აქნა და ვერ დაწინაურდნენ სტუმრები.

ალი ურასმა აიღო წუთშესვენება. როგორი რჩევა მისცა მან თავის გუნდს, ეს ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ერთი კი ცხადი გახდა. როგორც კი განახლდა თამაში, კაკაურიძე განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდა. მწვრთნელმა, როგორც ჩანს, ისიც გამოიყვანა ჩვეულებრივ მოთამაშეთა კატეგორიიდან და ლეჟავასთან ერთად მასაც განსაკუთრებული „დარაჯი“ დაუყენა.

დაახლოებით მე-10 წუთიდან ანგარიშში განსხვავება საგრძნობლად გაიზარდა. სტუმრებმა რამდენიმე მძაფრი შეტევა განახორციელეს, მაგრამ პასუხიც დაყოვნების გარეშე მიიღეს. 8-10 ქულიანი სხვაობა მაინც ძალაში დარჩა. მწვრთნელმა რამდენჯერმე შეცვალა მოთამაშეები. მოედანზე გამოვიდნენ ერამი (№ 7), ტაშლიგა (№ 8), მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ლეჟავა, კაკაურიძე, ტოგონიძე, ადეიშვილი და აჩბა კოლექტიურად უტევდნენ მოწინააღმდეგის ფარს და ხშირად სასურველ შედეგსაც აღწევდნენ. თამაშის პირველ ნახევარში უპირატესობა მთლიანად „ბურევესტნიკის“ მხარეზე იყო — 35:27.

არც თამაშის მეორე ნახევარი იყო თურქებისათვის სახარბიელო. თბილისელები კვლავინდებურად ფლობდნენ მთელ მოედანს, სტუმრებს უხდებოდათ მხოლოდ მათი იერიშების მოგერიება. მატჩის ბედი გადაწყდა თამაშის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე. სტუმრები ბრძოლას განაგრძობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ შეემცირებინათ ანგარიშში განსხვავება. უკეთესზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მსაჯის საფინალო სასტვენმა ანგარიშს მოუსწრო 64:42-ზე თბილისელთა სასარგებლოდ. შესანიშნავი გამარჯვება, რომელიც „ბურევესტნიკის“ ახალგაზრდულმა კოლექტივმა მოიპოვა სტამბოლის „გალატა-სარაიზე“, იყო იმის დადასტურება, რომ გუნდმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა და ჩვენი ქვეყნის უძლიერეს კალათბურთელთა კოლექტივებს ღირსეული მეტოქე შეემატა.

ნ. გუგუშვილი

სურათებზე: ზევით—წუთშესვენება აიღეს თბილისელებმა, ბურთისათვის ბრძოლის მომენტი. თურქები განიცდიან... წაგებას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

შეჯიბრება მრავალჭიდში

დამთავრდა „კრასნოე ზნამიას“ ქალაქო პირველობა მშთ მრავალჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ფიზკულტურის ინსტრუქტორები, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტები და სპორტსაზოგადოებათა მაკები. პროგრამაში იყო რბენები 00 და 800 მეტრზე, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ყუმბარის ტყორცნა და ნებისმიერი სტილით 00 მეტრზე ცურვა.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, „კრასნოე ზნამიას“ რესპუბლიკურმა საბჭომ და აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ მოიპოვეს II და III ადგილები.

პირად ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორი რ. დვალი (იგი I იყო ხტომებში). „კრასნოე ზნამიას“ რესპუბლიკური საბჭოს სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგემ ი. რუხაძემ, რომელიც უძლიერესი იყო 00 მეტრზე ცურვაში, მოიპოვა საერთო მეორე ადგილი. 100 და 800 მ. რბენაში გამარჯვებულ გ. ჭუმბურიძეს (აბრეშუმის ფაბრიკა) წილად ხვდა მესამე ადგილი. ზ. ხატიაშვილმა პირველი ადგილი მოიპოვა ყუმბარის ტყორცნაში.

ი. კოჩაროვი

საღამო სოფლად

საღამოა, მზე ამკრთალებს სხივებს,
ნიავს ბარში გაუშლია ფრთები.
მსუბუქ ნისლებს მანდილივით
იხვევს
კავკასიის თმაჭაღარა მთები.

ველობაში წისქვილები მღერის,
ტირიფები გასცქერიან ტალღებს.
დედამიწა მოსვენებას ელის,
და სიმინდებს ნელი სიო არხევს.

თვალს ახარებს იისფერი
სივრცე —
ფიანდაზად გაფენილი მოლი.
კაკლის ხის ქვეშ წრე შეუკრავს
ბიჭებს,
საჭიდაოს უკრავს ზურნა-დოლი.

მეზობლის ბიჭს წრეში იწვევს
ტოლი,
აჩქარებით კეცავს ჩოხის კალთებს,
ბერი პაპა გამარჯვებას სწონის
და ფალავნის გამძლეობას აქებს.

დ. [illegible]

თბილისის „დინამოს“ მეორე წრის მატჩები

1 სექტემბერს მოსკოვში თბილისელი ფეხბურთელები შეხვდებიან ადგილობრივ „ტორპედოს“. **5 სექტემბერს** გაიმართება მორიგი კალენდარული მატჩი ცსკ მოსა და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის, რის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელები გაემგზავრებიან ლენინგრადში, სადაც **10 სექტემბერს** შეხვდებიან ადგილობრივ „ზენიტს“.

15 სექტემბერს თბილისის „დინამო“ თავის მოედანზე მიიღებს მინსკის „სპარტაკს“, ხოლო **25 სექტემბერს** — კიეველ თანაკლუბელებს.

1 ოქტომბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება მორიგი კალენდარული მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და კუიბიშევის „ბურევესტნიკის“ გუნდებს შორის, რის შემდეგ დინამოელები გაემგზავრებიან კუიბიშევში, სადაც **7 ოქტომბერს** ჩაატარებენ მორიგ კალენდარულ მატჩს ადგილობრივ „კრილია სოვეტოვთან“.

18 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართება მიმდინარე წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. ამ დღეს მოსკოვის „სპარტაკის“ წინააღმდეგ გამოვა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი. **25 ოქტომბერს** თბილისელები მოსკოვში ჩაატარებენ მორიგ შეხვედრას ადგილობრივ „ლოკომოტივთან“.

2 ნოემბერს სტალინოს „შახტიორი“ თავის მოედანზე მიიღებს თბილისის „დინამოს“.

თბილისის ოსკ-სა და ქუთაისის „ლოკომოტივის“ მეორე წრის მატჩები

26 ივლისი. „ნეფტიანიკი“ (უფა)—ოსკ-ა (თბილისი). „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი). **31 ივლისი.** „ზენიტი“ (იჟევსკი) — ოსკ-ა (თბილისი) — პირველ წრეში გამოტოვებული მატჩი.

6 აგვისტო. ოსკ-ა (სვერდლოვსკი) — ოსკ-ა (თბილისი), **11 აგვისტო.** „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „ნეფტიანიკი“ (ბაქო). **16 აგვისტო.** „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „ზენიტი“ (იჟევსკი). **20 აგვისტო.** ოსკ-ა (თბილისი) — „ზენიტი“ (იჟევსკი). **24 აგვისტო.** ოსკ-ა (თბილისი) — „დინამო“ (კიროვი), **27 აგვისტო.** „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „დინამო“ (კიროვი), **31 აგვისტო.** ოსკ-ა (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი).

3 სექტემბერი. „ნეფტიანიკი“ (ბაქო) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — პირველ წრეში გამოტოვებული მატჩი. **6 სექტემბერი.** ოსკ-ა (თბილისი) — „სპარტაკი“ (ერევანი). **14 სექტემბერი.** ოსკ-ა (თბილისი) — „სპარტაკი“ (ფრუნზე). **15 სექტემბერი.** „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „კაირატი“ (ალმა-ატა). **19 სექტემბერი.** ოსკ-ა (თბილისი) — „კაირატი“ (ალმა-ატა), „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (ფრუნზე). **25 სექტემბერი.** „კაირატი“ (ალმა-ატა) —„ლოკომოტივი“ (ქუთაისი)—პირველ წრეში გამოტოვებული მატჩი. **29 სექტემბერი,** „პახტაკორი“ (ტაშკენტი) — „ლოკომოტივი“ (ქუთაისი), „უროჟაი“ (სტალინაბადი) — ოსკ-ა (თბილისი).

გათამაშება დაიწყო

დაიწყო საქართველოს თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობს 17 გუნდი.

მოგვყავს პირველი ტურის შედეგები: „მეტალურგი“ (ჭიათურა)-„დინამო“ (ქუთაისი) — 1:0, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო (თბილისი)-„სპარტაკი“ (საჩხერე) — 5:1, „ლოკომოტივი“ (ხაშური)-„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — 2:1, „კრასნოე ზნამია“ (წულუკიძე)-ცაგერი — 1:0, ოტკ (ტყვარჩელი)-ჩაის ფაბრიკა (ჩოხატაური) — 4:2.



ფეხბურთის მოედნებზე

სამი მატჩი

გასულ შაბათსა და კვირას მოსკოვსა და სოფიაში შედგა სამი მატჩი სსრ კავშირისა და ბულგარეთის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. სოფიაში თამაშობდნენ პირველი, ხოლო მოსკოვში მეორე და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები.

პირველი გუნდების შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 4:0. მათივე გამარჯვებით დამთავრდა მეორე კოლექტივების შეხვედრაც — 2:1.

ახალგაზრდული გუნდების მატჩი გაიმართა 20 ივლისს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე. იგი მოიგო საბჭოთა კავშირის გუნდმა ანგარიშით 2:1. აღსანიშნავია, რომ ჩვენს გუნდში მეორე ტაიმში მარჯვენა გარემარბად თამაშობდა შ. იამანიძე თბილი-

მოზარდთა შეჯიბრება

ხარკოვში დასასრულს უახლოვდება ახალგაზრდულა საფეხბურთო სკოლათა გუნდების გათამაშება.

მოსკოვისა და კიევის გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 2:0, ხოლო თბილისელებმა ფრედ ითამაშეს ლენინგრადის „შრომით რეზერვებთან“ — 1:1.

გათამაშებას ლიდერობს მოსკოვის გუნდი, რომელსაც აქვს 9 ქულა. 7 ქულა აქვთ თბილისელებს.

მატჩები კიევში

დამთავრდა შეხვედრება ქვეჯგუფებში „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატთა გუნდებთან არსებულ მოზარდთა გუნდებს შორის.

წარმატებით ჩაატარეს მატჩები თავიანთ ქვეჯგუფებში თბილისისა და კიევის დინამოელებმა. მათ დაიკავეს პირველი ადგილები და ერთმანეთს შეხვდებიან საერთო პირველი ადგილის მოსაპოვებლად.

ჩელიაბინსკი. აქ გაიმართა მორიგი მატჩი „ბ“ კლასის მესამე ზონაში. თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და თბილისის საოლქო სპორტული კლუბის გუნდი.

თამაში მოიგეს თბილისელებმა 2:1.

სვერდლოვსკი. ადგილობრივი საოლქო სპორტული კლუბისა და ქუთაისის „ლოკომოტივის“ შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0. სვერდლოვსკის „ავანგარდისა“ და ერევნის „სპარტაკის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

სსრ კავშირის თასზე

გრძელდება მატჩები საბჭოთა კავშირის თასზე ფეხბურთში. ტალინში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და მინსკის „სპარტაკი“.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვა მინსკის „სპარტაკმა“ — 2:1.

ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციებში

ამას წინათ ციურიხში შედგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (**ფიფა**) აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, ხოლო კოპენჰაგენში — ფეხბურთის ასოციაციების ევროპის კავშირის კონგრესი.

სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება **ფიფას** 1958 წელს კონგრესზე შეტანილ იქნას წინადადება შეჯიბრების ჩატარების შესახებ მხოლოდ ფეხბურთის მოყვარულთათვის, რამდენადაც ამჟამად მიმდინარე მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც პროფესიონალებს, ისე მოყვარულებს.

აღმასკომმა კომისიას, რომლის შემადგენლობაში არიან ანდრეევიჩი (იუგოსლავია), პაარკა (შოტლანდია) და ბაუვენსი (გფრ), დაავალა შეისწავლოს წესების საერთაშორისო საბჭოს საქმიანობა და შემდეგი სხდომისათვის მოამზადოს წინადადება იმის გათვალისწინებით, რომ წესდების საერთაშორისო საბჭოს ფუნქციები გადაეცეს **ფიფას** ორგანიზაციებს, რადგან წესების საერთაშორისო საბჭო უკანასკნელ წლებში ანგარიშს არ უწევს სხვა ასოციაციების წინადადებებს. ასე მაგალითად: **ფიფას** ესპანელთა კომისიის წინადადებით მსოფლიო პირველობის მონაწილე გუნდებს ნება ეძლეოდათ თამაშის დროს შეეცვალათ მეკარე. ეს წინადადება მოიწონა **ფიფას** აღმასკომმა და ასოციაციების უმეტესობამ, მაგრამ წესების საერთაშორისო საბჭომ უარი თქვა მის ცხოვრებაში გატარებაზე. ამას გარდა, საერთაშორისო საბჭოს შემადგენლობაში შედიან ბრიტანეთის ოთხი ასოციაციის 8 წარმომადგენელი და მსოფლიოს სხვა ასოციაციების მხოლოდ ორი წარმომადგენელი.

აღმასკომის სხდომაზე **ფიფას** წევრებად მიღებულ იქნენ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, ტუნისისა და მაროკოს ფეხბურთის ორგანიზაციები. ამრიგად, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია თავის რიგებში აერთიანებს 92 ქვეყანას.

აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა კიდევ ერთი, მეტად საინტერესო საკითხი უნგრეთის იმ ფეხბურთელების შესახებ, რომლებმაც ოქტომბრის დღეებში დატოვეს თავიანთი ქვეყანა. უნგრეთის ფეხბურთის კავშირის გადაწყვეტილებით ბრაზილიის წინააღმდეგ გამართულ მატჩებში მონაწილეობისათვის 1958 წლის აპრილამდე დისკვალიფიცირებული იყვნენ გროშიჩი, პუშკაში, ციბორი და კოჩიში. **ფიფას** აღმასკომმა დისკვალიფიკაციის ამ ვადას კიდევ ერთი წელი დაუმატა. ამრიგად, გროშიჩი, პუშკაში, ციბორი და კოჩიში ფეხბურთის თამაშის უფლებას მიიღებენ მხოლოდ 1959 წლის აპრილის შემდეგ.

აღმასკომმა დაადგინა შემოიღოს „ოქროს წიგნი", რომელშიც შეიტანენ ფეხბურთის გამოჩენილ მოღვაწეებს.

* * *

ფეხბურთელთა ასოციაციის ევროპის კავშირის ანსამბლეის მუშაობაში მონაწილეობდა ევროპის 28 ქვეყნის წარმომადგენელი.

განსაკუთრებით ხანგრძლივი იყო დისკუსია ნაკრები ნაციონალური გუნდების ევროპის თასის გათამაშების შესახებ. დელეგატთა ერთმა ნაწილმა გაილაშქრა ამგვარი გათამაშების წინააღმდეგ. სხვები წინადადებით შემოვიდნენ ევროპის თასი გათამაშდეს მხოლოდ ისეთ ფეხბურთელთა შორის, რომელთა ასაკი არ აღემატება 23 წელს. 15 ხმით 13-ის წინააღმდეგ ანსამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება 1959 წლიდან დაიწყოს ევროპის თასის გათამაშება ნაციონალურ ნაკრებ გუნდებს შორის.

სტაიერის შენიშვნები

ვ. კუცი,

მსოფლიო, ოლიმპიური რეკორდსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ერთი წრე ჩვენ გავირბინეთ პატარა ჯგუფთან ერთად, შემდეგ პირს კვლავ შევთავაზე სწრაფი ტემპი და ჩვენ ისევ წინ გავედით, წრიდან წრემდე ტემპი კვლავ მატულობს— 68,6, 67,6. ...67,6 წამი... ეს დიდი სისწრაფეა 10 ათას მეტრზე რბენისათვის, მაგრამ პირი კვლავ მომყვება, კვლავ მივქრით წინ...

ვინ არის ჩვენს შორის მონადირე და ვინ მსხვერპლი? ალბათ მაყურებელთა უმრავლესობა პირის თვლიდა მონადირედ. იგი ისე ახლო არის ჩემთან, რომ კვლავ მეხება მისი ფეხსაცმელის ფოლადის „კბილები".

ჩვენი ლანდები კვლავ ერთდებიან მწვანე ბალახზე. რა იქნება, რომ პირველი ბილიკიდან მეორეზე გადავინაცვლო? და მე პირის კვლავ ვუთმობ გზას. იგი ახლაც უარზეა ლიდერი იყოს. მისი ამოცანა გასაგებია. კვალდაკვალ მსდიოს და როცა ფინიშამდე 100-200 მეტრი დარჩება, აამოქმედოს თავისი მთავარი უპირატესობა — სისწრაფე.

5 ათასი მეტრი განვლილ იქნა 14 წუთსა და 6,6 წამში. ჩვენთვის ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა, მაგრამ მაყურებელს და ბევრ ჟურნალისტს ჰგონია, რომ პირმა უკვე გაიმარჯვა, რომ ყველა ჩემი ცდა, უკან ჩამოვიტოვო იგი, უნაყოფოა. მე მკვეთრად ვუკლებ რბენის ტემპს. მეცამეტე წრე — 71,8 წამი, მეთოთხმეტე — 72,2 წამი. ჩემი სიჩქარე ეცემა, ხოლო პირი კვლავ არ გადის წინ. მაშინ მე ისევ ვრთავ დიდ სისწრაფეს — მეთხუთმეტე წრე — 66,4 წამი. ტაქტიკური ჩანაფიქრი კვლავ მოქმედებაშია! მისი მორჩილი ვარ. მეთექვსმეტე წრეზე ისევ ვუკლებ ტემპს — 73,4 წამი. პირის კვლავ ვუთმობ პირველ ბილიკს. მაგრამ იგი ჩემს უკან გამოდის მეორეზე. როგორ შევხედო მის სახეს. აუცილებლად უნდა ვნახო, დარბის მსუბუქად, თუ როგორც მე, მასაც უჭირს, მაგრამ როგორ გავაკეთო ეს. პირი ისევ უკანაა, ფეხის ხმაზე და სუნთქვაზე მივხვდები მის გუნებას?

მეჩვიდმეტე წრეზე გადაწყვეტილებას ვიღებ ახალ სიჩქარეზე. ვგრძნობ, თუ რა ძნელია ამის ატანა. რამდენი თვე რა გულმოდგინედ ვემზადებოდი მელბურნისათვის და ახლა ჩემი ძალები ზღვარზეა!

ფინიშამდე სამ კილომეტრზე მეტია. მაშინ ბევრმა საბოლოოდ იფიქრა, რომ ოქროს მედალი ინგლისელის ხელშია. როგორი დარწმუნებულია და როგორ მშვიდად უჭირავს თავი ბილიკზე! მხოლოდ რამდენიმე კაცი, ამ საქმეში ასე თუ ისე ჩახედული, რომლებიც თვალყურს ადევნებენ რბენას წამზომის ციფერბლატით, დანდობილნი მხოლოდ ციფრზე და არა საკუთარ სურვილზე, გრძნობდნენ, რომ პირი კვალდაკვალ მომდევს მხოლოდ იმიტომ, რომ მეჩვიდმეტე წრის შემდეგ რბენის ტემპი კვლავ შევანელე. ამ დროს მე ვამზადებდი უკანასკნელ გადამწყვეტ ბიძგს, რომელიც უნდა განმეხორციელებინა მეოცე წრეზე. ახლა შევასრულე ჩემი წინასწარი განზრახვა! სრულ სიჩქარეზე პირველ ბილიკიდან მეორეზე გადავედი — პირი უკან მომდევს. მეორედან მესამეზე, პირი კვლავ ჩემს უკანაა, მესამედან — მეოთხეზე, მეოთხედან პირველზე — ისევ ძველი ამბავი მეორდება. და უცებ ისე ვუკლებ ამ ზიგზაგისებურ რბენის ტემპს, რომ თითქმის ვჩერდები. ვიხედები უკან და პირის ჟესტით ვანიშნებ წინ გავიდეს... და იგა ბოლოსდაბოლოს გადის წინ! ჩვენ მხარდამხარ მივრბივართ. პირველად ამ რბენის დროს ვხედავ მას ჩემს გვერდით, ვხედავ მის წინდახრილ ფიგურას, უსაზღვრო დაღლილობას, რომელიც აღბეჭდილია მის სახეზე და ამ სახის გამომეტყველებამ მამცნო, რომ დადგა გადამწყვეტი სიჩქარის განხორციელების მომენტი...

„კუცმა მოუგო პირის ნოკაუტით, მას შემდეგ, რაც ნახევარი საათის განმავლობაში თავს აყრიდა უჩვეულო ძალის დარტყმების სეტყვას",— ასე აღწერდა ჩვენს რბენას ცნობილი მორბენალი მარსელ ანზელი — „ეკიპში".

100 მეტრი გავირბინე პირთან მხარდამხარ, საბოლოოდ დავცილდი ინგლისელს, მას ალბათ გამოელია ძალის უკანასკნელი ნატამალი... სულ უფრო მშორდებოდა... გადაუსწრეს კოვაჩმა, ლოურენსმა, კუიშკოვიაკმა, ნორისმა, ჩერნიავსკიმ, პაუერმა.

პირის დაღლილობის ფიალა უკანასკნელი წვეთებით აივსო. და აი, მეოცდახუთე, უკანასკნელი წრე. იგი მე დავფარე 66,6 წამში. მე მივისწრაფოდი ფინიშისაკენ, ჩემი გამარჯვებისაკენ.

პირი ფინიშთან მერვე იყო. მე ვნახე მისი უკანასკნელი მეტრებისათვის ბრძოლა. იგი თითქოს უფრო ჩია გახდა, დაღლილობისაგან წელში მოხრილი გარბოდა. მან მომილოცა გამარჯვება. გორდონ პირიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ „იგი ძალზე კარგი იყო ჩემთვის, რადგან მე არასდროს ვირბენდი ასეთი სასწრაფით".

მკითხველები შემეკითხებიან ჩემი წერილის ამ სადა ციტატის შესახებ. მე მასაც არ მოვიყვანდი, როგორც სხვა გაზეთებში და ჟურნალში აღწერილ ქების სტრიქონებს ავუქციე გვერდი, რომ იგი გორდონ პირის არ ეკუთვნოდეს და არ ახასიათებდეს მას, როგორც შესანიშნავ, გულლია ვაჟკაცს.

როგორც გამონაკლისი, მე უნდა აღვნიშნო ერთი განცხადების შესახებ, რომელიც ეკუთვნის როჯერ ბანისტერს. თავის სტატიაში, რომლის სათაური იყო — „კუცი — —კატა, პირი — თაგვი", იგი წერდა: „კუცი უბრალო მანქანა როდია, მისი გონება ისევე ძლიერია, როგორც მისი სხეული, ფლობს ტაქტიკურ ხელოვნებას".

რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდა პირველი მისალოცი დეპეშა სამშობლოდან. ყოველდღიურად დიდდებოდა მისი ნაკადი. თავისუფალ დროს მე ვანდომებდი ვარჯიშს და ჩემთვის ამ ძვირფასი დეპეშების კითხვას. ერთიც და მეორეც ახალ ძალას, რწმენას მმატებდა.

26 ნოემბერს მე კვლავ სტარტზე ვიყავი. მიმდინარეობდა წინასწარი გარბენები 5 ათას მეტრზე და როგორი იყო ავსტრალიელების აღტაცება. როცა ფინიშთან პირველი მე კი არა, მათი თანამემამულე ლოურენსი იყო! ამაში ისინი ხედავდნენ თავიანთი სპორტსმენის ძალას და არა ჩემს გადაწყვეტილებას — ძალა შემენახა ფინალისათვის. სამწუხაროდ, ავსტრალიელმა სპორტსმენმა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ფინალში მონაწილეობა.

ერთი დღის შემდეგ ჩატარდა ფინალი, რომელშიც მონაწილეობდნენ სტაიერები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაეხარჯათ თავიანთი ძალა, ჩინებულად ნაწრთობი და გამარჯვებას მოწყურებულნი, ისეთები, როგორიც არიან ქრისტეფორ ჩატაუეი, დერეკ იბოტსონი, ლასლო ტაბორი, მიკლოშ საბო, მათ არც ერთს არ მიუღიათ 10 ათას მეტრზე რბენაში მონაწილეობა და ეს იყო მათი დიდი უპირატესობა ჩემსა და გორდონ პირისთან შედარებით.

ძნელია, მოვყვე იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც სარბენ ბილიკზე გაჩაღდა. როცა მეორე წრეზე ტაბორი წინ გაიჭრა, მე მაშინვე შევიცანი, თუ სად იმალებოდა საშიშროება. ტაბორმა დაიკავა წრე და უკლო ტემპს. თუ მეტოქეები შეძლებენ ყოველთვის ამომაგდონ ტემპიდან, რომელიმე ძალაშენახული, რასაკვირველია, გვერდს ამივლის ფინიშთან. სწორედ ამიტომ საჭირო იყო რბენის მაღალი ტემპი და... მე ისევ ლიდერი ვარ.

მხოლოდ ჩემი მეტოქეების სარბენი ფეხსაცმლის ხმაზე ვგებულობდი თუ რა მანძილზე იყოფებოდნენ ისინი, მაყურებლების ყვირილზე ვგებულობდი მოწინააღმდეგეთა მოქმედებას.

უკვე შემდეგ მითხრეს, რომ მერვე წრეზე ჩატაუეიმ სცადა ბიძგით წინ გასვლა, რაც მისთვის საბედისწერო გამოდგა. ჩატაუეი ფინიშთან მეთერთმეტე იყო.

ბრძოლის ხასიათი ისე მოეწყო, რომ ჩემი მეტოქეები თავისდაუნებურად ერთ კოალიციაში გაერთიანდნენ და ცდილობდნენ დაერღვიათ ჩემი გეგმა, ესე იგი, ამოვეგდე ტემპიდან და შეენახათ თავიანთი ძალა ფინიშისათვის. ამის საწინააღმდეგოდ მე ერთი მრჩებოდა: გამძლეობა. რბილა ბილიკისა და შემხვედრი ქარის მიუხედავად, რომელიც ძალზე მიშლიდა ხელს, წინ მივქროდი. მე არ ვიცოდი, თუ რა ხდებოდა უკან, ვერ ვხედავდი მოწინააღმდეგეებს... მე მხოლოდ მათზე ვფიქრობდი, მთელი დაძაბულობით ყურს ვუგდებდი მათი ნაბიჯების ხმაურს, რომელიც ზურგიდან მესმოდა. ვცდილობდი ტრიბუნების რეაქციის საშუალებით წარმომედგინა ბრძოლის სურათი, მხოლოდ ფინიშის შემდეგ ვიგრძენი, თუ რა მომაკვდინებელი იყო ამ რბენის ტემპი. ფინიშიდან 400 მეტრზე პირიმ დაიწყო ბრძოლა — მხოლოდ მეორე ადგილისათვის, ხოლო მე რბენა დავამთავრე 13 წუთსა და 39,6 წამში და დავამყარე მეორე ოლიმპიური რეკორდი

ბევრი წარუშლელი შთაბეჭდილება დარჩა ჩემს მეხსიერებაში ავსტრალიაში მგზავრობიდან. პირველად ჩემს ცხოვრებაში ვნახე მარათონელთა შეჯიბრება. დავესწარი აგრეთვე სხვა საინტერესო შეჯიბრებებს. მაგრამ ყველაზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დარჩა. უბრალო ავსტ ლიელ ხალხთან შეხვედრებიდან.

განსაკუთრებით დასამახსოვრ სიდნეიში გამგზავრება დოკერ თან. რამდენიმე საბჭოთა სპორტსმ ნი მაგვიწვიეს მეჯლისზე. ვეებე თელა დარბაზი სავსე იყო ხალხი ყოველი მხრიდან გვიწვდიდნენ თ ვიანთ დაკუნთულ ხელებს მტვირთ ვები, მეზღვაურები, მუშები...

ჩაქრა ოლიმპიური ჩირაღდან ოლიმპიური თამაშების დახურვ საზეიმო ცერემონიალის დროს დიდი პატივი მხვდა წილად, — რო ცა სტადიონმა დაინახა ჩემს ხელ აღმართული ჰაერში მოელვარე წ თელი დროშა, აპლოდისმენტებ ქარიშხალმა გადაიარა ტრიბუნებ და მსოფლიოს 67 ქვეყნის წარმო მადგენლებთან მხარდამხარ მდგარმ ვიგრძენი, თუ რა დიდი საქმე გ ვაკეთეთ ჩვენ, საბჭოთა ახალგაზრ დობის წარგზავნილებმა, ხალხთა შო რის მეგობრობის განმტკიცებისა დ ურთიერთგაგებისათვის.

ამჟამად, მელბურნი შორსაა. კვლა მრავალი ათასი კილომეტრი გვაშო რებს ჩვენ ავსტრალიურ მიწა-წყალ XVI ოლიმპიური თამაშები ისტო რიად იქცა... დიდხანს ეხსომ ბათ აქ გამარჯვებულთა სახელებ გავიხსენებთ მელბურნს არა იმატომ რომ განცხრომას მივეცეთ, არა! ჩვე გავიხსენებთ XVI ოლიმპიურ თამაშებს იმისათვის, რომ გამოვიყენო მათი გამოცდილება, ვესწრაფოთ ახალი წარმატებებისაკენ, ახალი რეკორდებისაკენ. ამისათვის ვემზადებ მეც. ვიცი, რომ ეს ძალზე დიდ შრო მას მოითხოვს. მაგრამ ახლა, როც პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ას ფართოდ აღნიშნეს ჩემი წარმატებები სპორტში, არ შეიძლება რამმე დამაბრკოლოს.

სავსე ვარ ჟინითით და სურვილით ვემსახურო ჩვენს საბჭოთა სპორტს.

დასასრული. იხ. „ლელო" № 86, 87.

* * *

სურათზე: 10 კმ რბენა მელბურნის სტადიონზე. შეჯიბრებას ლიდერობს ვ. კუცი, მას მისდევს გ. პირი.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებისა — 3-38-25.

საქართველოს კპ ც. კ-ის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 01985